დანართიN1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების, განვითარების და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი

თავი I. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება

მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომი „უნივერსიტეტი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - „პროგრამა“) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) პროგრამის სატიტულე ფურცელი;

ბ) ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც იქმნება პროგრამა;

გ) ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი;

დ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ე) პროგრამის მიზანი;

ვ) კვალიფიკაციის დონე:

ზ) დაშვების წინაპირობა/წინაპირობები;

თ) დასაქმების შესაძლებლობები;

ი) პროგრამის სტრუქტურა;

კ) სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების პროცედურა;

ლ) პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა;

მ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ნ) ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.

2. შემუშავებული პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ამავე პროფესიული პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის 20%-ს.

3. პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება განსაზღვრავდეს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 50%-ზე მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.

4. იმ პროგრამისთვის, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო

მოცულობის 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

5. პროგრამას თან უნდა ერთვოდეს:

ა) ადაპტირებული მოდულები;

ბ) ქართული ენის მოდულები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) სასწავლო გეგმა;

დ) სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;

ე) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი;

ვ) პროგრამას შესაძლებელია ერთვოდეს სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

1. პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს:

ა) პროგრამის კოდი და სახელწოდება;

ბ) მოდულების კრედიტები;

გ) მოდულის სარეგისტრაციო ნომერი;

დ) მოდულზე დაშვების წინაპირობა;

ე) მოდულის სტატუსი;

ვ) მოდულის საკონტაქტო, დამოუკიდებელი საათები და მოდულის კვირეული დატვირთვა.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური რესურსი

1. პროგრამა უნდა განხორციელდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით-ადამიანური რესურსით.

2. პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები.

3. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი; რომელსაც აქვს პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური/პროფესიული კვალიფიკაციით, მიღებული სპეციალური განათლებით/კურსებით/ტრენინგებით ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილებით თუ პროგრამით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ წაყენებული მინიმალური მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები

1. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ქონდეს პროგრამასთან შესაბამისი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება (არანაკლებ 1 წ.).

2. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებია:

ა) პროგრამის შემუშავების პროცესში უნდა მოიძიოს პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების მქონე განმახორციელებელი პერსონალი.

ბ) უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ერთად მოამზადოს/დაარედაქტიროს პროფესიული პროგრამა და მასთან თანდართული დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე.
გ) მონაწილეობა მიიღოს პროფესიული პროგრამის ავტორიზაციის პროცესში.
დ) ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ერთად იზრუნოს პროფესიული პროგრამების განვითარებასა და საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანაზე.
ე) მონაწილეობა მიიღოს პროფესიული სტუდენტებისა თუ პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარების მსურველი აპლიკანტებისთვის დაგეგმილ აქტივობებში.
ვ) აწარმოოს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი და არანაკლებ წელიწადში ერთხელ ანგარიში წარუდგინოს უნივერსიტეტის ცენტრის ხელმძღვანელს.
ზ) პროფესიული პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, მოახდინოს სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლების საჭიროებების იდენტიფიცირება და მიაწოდოს ინფორმაცია უნივერსიტეტის ცენტრს.
თ) პროგრამის ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ცენტრის ხელმძღვანელის სახელზე.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შესახებ.

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება
1. პროგრამის შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კორდინირებული მუშაობით.
2. პროგრამის შემუშავების მიზნით, სამუშაო ჯგუფი იძიებს სტატისტიკურ მონაცემებს, დასაქმების მაჩვენებლებისა და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობების შესახებ.
3. სამუშაო ჯგუფის მიერ შესრულებული საქმიანობის შედეგები აისახება ოქმში/ანგარიშში.
4. შესაბამისი მოკვლევის საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და წარუდგენს ცენტრის ხელმძღვანელს.
5. ცენტრის ხელმძღვანელი პროგრამის შეჯერებულ ვარიანტს განსახილველად გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან და ამზადებს წერილობით დასკვნას.
7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წერილობით დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება რექტორის მიერ, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 7. ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცედურა

1. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებასთან თანამშრომლობით.
2. ერთობლივი პროგრამა წარმოადგენს ერთ ან მეტ პარტნიორ დაწესებულებასთან თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელებულ პროგრამას.
3. ერთობლივი პროგრამა უნდა შემუშავდეს წინამდებარე წესისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების დაცვით.

თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

მუხლი 8. მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

1. პროფესიული პროგრამის განხორციელების შეფასება საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია და მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესი ითვალისწინებს:

ა) დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევას, რომელიც ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში და მისი დასრულების შემდეგ;

ბ) კურსდამთავრებულთა გამოკითხვას წელიწადში ერთხელ;

გ) პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვას, რომელიც ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში.

დ) საუკეთესო ადგილობრივი ან/და საერთაშორისო პრაქტიკის, დარგში არსებული უახლესი კვლევების შედეგების გაცნობას.

ე) პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშის გაცნობას.

3. ცენტრი უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას პროგრამაში.

მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება, წინამდებარე ბრძანების მე-8 მუხლის და ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და პროგრამის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.
2. ცენტრის ხელმძღავნელი პროგრამაში ცვლილებ(ებ)ის შეტანის პროექტს წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს წერილობით დასკვნას, რის საფუძველზეც პროგრამაში ცვლილებები მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.
4. განმახორციელებელი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში) აისახება კატალოგში და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ეცნობება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

თავი III. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

მუხლი 10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენა

1. პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების (შემდგომში „სტუდენტი“) ზღვრული რაოდენობის დაანგარიშება უნდა მოხდეს ისე, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უზრუნველყოფილი იყოს ხარისხიანი პროფესიული განათლების მიცემა.
2. პროგრამის A სასწავლო გარემო არის სასწავლო სივრცე თეორიულ მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ აღჭურვას. A სასწავლო გარემოში განთავსებულია თითოეული სტუდენტებისთვის, მაგიდა, სკამი, დაფა, კომპიუტერი მასწავლებლისთვის და სადემონსტრაციო საშუალება პროექტორი ან მონიტორი).
3. პროგრამის B სასწავლო გარემო არის კომპიუტერული აუდიტორია, სადაც თითოეული პროფესიული სტუდენტებისთვის, მასწავლებლისთვის, განთავსებულია მაგიდა, სკამი, დაფა, კომპიუტერები, სადემონსტრაციო საშუალება პროექტორი ან მონიტორი). B სასწავლო გარემოში შესაძლებელია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით იყოს განთავსებული განსხვავებული მონაცემების კომპიუტერ(ებ)ი და კომპიუტერული ტექნიკა.
4. პროგრამის C სასწავლო გარემო არის სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობაში ან/და ცალკე მდგომი შენობა ან/და პარტნიორი ორგანიზაციის სივრცე (მიწის ნაკვეთი, ლაბორატორია, სახელოსნო, და სხვ.), რომელიც საჭიროა კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად.
5. თუ პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A სასწავლო გარემოს, მაშინ პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით.
6. თუ პროგრამა ითვალისწინებს ორი ძირითადი გარემოების არსებობას A-სასწავლო გარემოსთან ერთად B სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-ს, არამედ B სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით.
7. თუ პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A სასწავლო გარემოსთან ერთად C სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-ს, არამედ C სასწავლო გარემოში სტუდენტის სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის შესაძლებლობით და მისი ფართის რაოდენობის მიხედვით.
8. პროგრამაზე თუ სასწავლო პროცესი ორ ცვლაშია გადანაწილებული შესაძლებელია ადგილების რაოდენობის გაორმაგება პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის დასადგენად (ერთ ცვლაში ერთ ჯგუფში 20 სტუდენტი ორ ცვლაში 2 ჯგუფი 40 სტუდენტი).